

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრის 2021 წლის ანგარიში

სპორტისა და ტურიზმის ცენტრი აერთიანებს 11 სპორტულ სკოლას, ცენტრალურ სტადიონს და ტურიზმის განვითარების ცენტრს. 2021 წელი პანდემიიდან გამოწვეული რეგულაციების გამო რთული იყო როგორც, სპორტის ასევე ტურიზმის სფეროსთვის.

2021 წლის აპრილში ქ. ფოთში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კრივში, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ჩვენი სამსახური. ტურნირმა წარმატებით ჩაიარა ფოთელი სპორტსმენებისთვის. ტურნირი ჩატარდა რეგულაციების სრული დაცვით და კრივის ეროვნული ფედერაციიდან ორგანიზების მხრივ, დაიმსახურა მაღალი შეფასება.

პანდემიიდან გამომდინარე გაუქმდა რამდენიმე სპორტული ღონისძიება. მათ შორის ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი და სხვა ადგილობრივი დონის ტურნირი.

სპორტულ სკოლებში მეცადინეობები მიმდინარეობდა რეგულაციების დაცვით, სკოლები აღიჭურვა დისტანციური სიციხის საზომი აპარატებით, სადენზინფექციო ხსნარებით, დეზობარიერებით და მწვრთნელების 70%-ზე მეტი აცრილია ვაქცინის ორი დოზით.

ქ. ფოთის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით და ჩვენი ცენტრის ჩართულობით რუსთაველის რკალზე მოეწყო „ოლიმპიური ხეივანი“. გაიხსნა კრივში ოლიმპიური პრიზიორის ვლადიმერ ჭანტურიას სახელობის ვარსკვლავი. აღნიშნულ ხეივანზე მომავალშიც განთავსდება სხვადასხვა სახელოვანი ფოთელი სპორტსმენების ვარსკვლავი.

წარმოგიდგენთ 2021 წლის სპორტულ შედეგებს:

კრივი

24-28 თებერვალი ქ. ბათუმი საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკ მოკრივეთა შორის. 1 ადგილი მამუკა სართანია (63კგ.) 2 ადგილი საბა გაგუა (50კგ) 2 ადგილი მათე ხარაიშვილი (46კგ) 3 ადგილი გიორგი ნაროუშვილი (80კგ) 3 ადგილი ლუკა ბასარია (57კგ)

14-18 აპრილი ქ. ფოთი საქართველოს ჩემპიონატი მოსწავლე მოკრივეთა შორის. 1 ადგილი მიხეილ გვასალია (40კგ), 1 ადგილი გიორგი კილასონია (42კგ), 1 ადგილი აკაკი ბასარია (44კგ), 1 ადგილი რეზი კაკულია (50კგ), 1 ადგილი ტარიელ ბარამია (60კგ), 1 ადგილი ლაშა ალექსანდრია (75კგ), 2 ადგილი გიორგი ლაშხია 980კგ), 3 ადგილი თორნიკე დანელია 948კგ), 3 ადგილი ნიკოლოზ ნაროუშვილი (54კგ)

5-9 მაისი ქ. თბილისი საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდა და უფროსი ასაკის მოკრივეთა შორის. 1 ადგილი გიორგი საჯაია (56კგ), 1 ადგილი საბა ტყეშუჩავა (60კგ), 1 ადგილი ირაკლი ჯანელიძე (75კგ), 2 ადგილი ბადრი ხუციშვილი (75კგ)

26-29 ივნისი ქ. ჭიათურა თ. ჯაოშვილის და ს. ასანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კრივში. 1 ადგილი მიხეილ გვასალია 40კგ. 1 ადგილი აკაკი ბასარია 46 კგ. 1 ადგილი ლაშა ალექსანდრია 75 კგ. 1 ადგილი შოთა ჯიქია 70 კგ. 1 ადგილი გიორგი ნაროუშვილი 80 კგ. 1

ადგილი რეზო კაკულია 54 კგ. 1 ადგილი გიგი ქილიფთარი 54 კგ. 2 ადგილი ნიკოლოზ ლაზარია 2 ადგილი ნიკოლოზ ბარამია 50კგ. 2 ადგილი თაზო გაბელია 57 კგ. 2 ადგილი ნიკოლოზ შარაბიძე 38 კგ. 2 ადგილი გიორგი თოლორდავა 63 კგ. 3 ადგილი ნიკოლოზ ქაქუჩაია 30 კგ. 3 ადგილი ტიმოთე გვათუა 60 კგ. 3 ადგილი ნიკა დარსალია 38 კგ. 3 ადგილი ანრი გაგუა 54კგ. 3 ადგილი ლევან ფაჩულია 57 კგ. 3 ადგილი ნიკა ნაროშვილი 54 კგ.

15-23 ოქტომბერი მონტენეგრო გიორგი საჯაია ევროპის ჩემპიონატი ვერცხლის მედალი. სართანია მამუკა ევროპის ჩემპიონატი ბრინჯაოს მედალი.

კანოე

საერთაშორისო რეგატა კვიპროსი, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა ნიჩბოსნებმა.

მურმან მალანია 200 მ. 1 ადგილი კანოე ორიანში 1 ადგილი, გია გაბედავა 500მ 1 ადგილი კანოე ორიანი 1 ადგილი 200მ. 2 ადგილი, გიორგი კვერნაძე 200მ და 500მ. 1 ადგილი, ლიდა სულაბერიძე 200 მ და 500 მ. 1 ადგილი

მძლეოსნობა

23-25 აპრილი ახალციხე, ახალციხის ღია პირველობა მძლეოსნობაში. 3 ადგილი დიმა კირეევ 1500მ. 3 ადგილი ალექს აივაზიან 400მ.

22 მაისი ჯვარი სამეგრელო ზემო-სვანეთის პირველობა. 1 ადგილი საბა მარღანია 400მ. 1 ადგილი ნიკო ჩაგანავა 800მ. 2 ადგილი დიმიტრი კირეევი 800მ. 2 ადგილი ალექსანდრე აივაზიან 400მ. 3 ადგილი ლუკა ფაცია 100მ.

25-27 ივნისი თბილისი საქართველოს პირადი ჩემპიონატი. 3 ადგილი საბა მარღანია 400მ. 2 ადგილი საბა ხვიჩავა 800მ.

ტაეკვანდო

4-6 ივნისი ქ. ბათუმი საქართველოს ჩემპიონატი ტაეკვანდოში. 1 ადგილი დემეტრე კვარაცხელია (30კგ), 2 ადგილი ედუარდ წულაია (33კგ), 2 ადგილი დავით მირცხულავა (53კგ), 3 ადგილი ნიკოლოზ ხახნელიძე (+65კგ)

უშუ

17-18 აპრილი ქ. თბილისი ღია ჩემპიონატი უშუ კუნგფუში. სოფიკო აფხაზავა 3 ოქროს მედალი. ნიკუშა დიხამინჯია 3 ოქროს მედალი.

11-12 დეკემბერი ქ. თბილისი მე-18 ჩემპიონატი უშუში. სოფიკო აფხაზავა 3 ოქრო, გიორგი გაბელია, ანი ხურცილავა, მათე კორთხონჯია და მეგი აფხაზავა 1 ოქრო. საბა გოგია 2 ოქრო და 1 ბრინჯაო, ილია დანელია 2 ოქრო 1 ბრინჯაო, მარიამ არზიანი 3 ადგილი, ნიკა

დინამინჯია 2 ვერცხლი, საბა ნოზაძე 2 ოქრო, გვანცა ქარჩავა 2 ვერცხლი 1 ბრინჯაო, ანდრია გუგუშვილი 2 ოქრო.

ჭადრაკი

18-26 მარტი ქ. თბილისი საქართველოს ქალთა 78-ე ჩემპიონატი 1-ლი ლიგა. 1 ადგილი დიანა ლომია.

7-15 მაისი საქართველოს ონლაინ ჩემპიონატი 14 და 18 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის. 18 წლამდე ჭაბუკებში 1 ადგილი დაიკავა აკაკი ყალიჩავამ, 18 წლამდე გოგონათა შორის 3 ადგილი დაიკავა დიანა ლომია.

საქართველოს ქალთა 79-ე ჩემპიონატზე მე-3 ადგილის დაკავებით მოიპოვა 2022 წლის საქართველოს ქალთა უმაღლესი ლიგის საგზური (მონაწილეობს მხოლოდ საქართველოს საუკეთესო 10 ქალი).

ასევე აქვს მსოფლიო ჭადრაკის ფედერაციის მინიჭებული წოდება - ქალთა ფიდეს ოსტატი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი, 16 წლამდე გოგონათა შორის - III ადგილი ელენე წოწონავა, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი - III ადგილი გოგონათა გუნდურ ჩათვლაში ელენე წოწონავა, საქართველოს ქალთა 79-ე ჩემპიონატის პირველი ლიგა - III ადგილი ელენე წოწონავა, საქართველოს ქალთა 78-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მონაწილე ელენე წოწონავა. ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე აიღო 2 ბრინჯაოს მედალი, ინდივიდუალურთან ერთად გუნდური მე-3 ადგილი.

ჭიდაობა

26-28 თებერვალი ქ. თბილისი საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ძიდაობა სამზოში. 1 ადგილი ელიზბარ თურქია (64კგ), 2 ადგილი ვიტალი ქაქუთია (58კგ), 2 ადგილი ლუკა გადელია (58კგ), **18-23 აპრილი ქ. ხაშური** საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. 2 ადგილი მალხაზ ხელაია (45კგ)

15-16 მაისი რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტი ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. 1 ადგილი მალხაზ ხელაია (45კგ)

26-27 მაისი კვიპროსის ქ. ლიმასოლში ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებში. 1 ადგილი ჯაბა თურქია (64კგ)

2-4 ივლისი ქუთაისი რესპუბლიკური ტურნირი ბერზნულ-რომაულ ჭიდაობაში. 1 ადგილი დათო კუხიანიძე, 3 ადგილი რევაზ კორშია

16-17 ოქტომბერი ქ. ზუგდიდი რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში. 1 ადგილი - ზურიკო ბებია 50კგ, 1 ადგილი - საბა კუკავა 32კგ, 1 ადგილი - მათე კუჭავა 38კგ 2 ადგილი

42 კგ, 2 ადგილი - ლუკა ჯობავა 46კგ, 3 ადგილი - ნიკოლოზ ხინთიბიძე 46კგ, 3 ადგილი - ნიკოლოზ კვეციანი 46 კგ

10-12 დეკემბერი ქ. ზუგდიდი რესპუბლიკური ტურნირი მიუდოში, ცოტნე დადიანის თასი 2021. 1 ადგილი - მათე კუჭავა 46კგ, 1 ადგილი - ბორის ჩადუნელი 34 კგ, 1 ადგილი - ზურაბ ბებია - 46 კგ, 2 ადგილი - ირაკლი ზარქუა 38კგ, 3 ადგილი - საბა კუკავა 38 კგ.

ცენტრალური სტადიონი

სპორტისა და ტურიზმის ცენტრმა 2021 წელს განახორციელა სტადიონის მოვლა-პატრონობის სამუშაოები. მთელი წლის განმავლობაში ბუნებრივი მინდვრის საფარის მოვლის სამუშაოები. ადგილობრივი კლუბი „კოლხეთი 1913“ დღემდე ვარჯიშობს და საშინაო თამაშებს ატარებს აღნიშნულ სტადიონზე (2021 წელს 13 თამაში), ასევე მოხდა სტადიონის იჯარით გაცემა საფეხბურთო კლუბ ქობულეთის „მუქურა“-ზე, რომელმაც გამართა 8 საშინაო მატჩი.

ტურიზმი

მალთაყვის სანაპიროზე დამსვენებელთა ხელშეწყობის მიზნით 3 თვიანი იჯარით გაიცა მიწები კაფე-ბუნგალოების მოწყობის მიზნით.

სანაპიროს პოპულარიზაციის მიზნით მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან და ფოლკლორის ცენტრთან თანამშრომლობით გაიმართა სამდღიანი ღონისძიება, რომლებზეც ბავშვთა გართობის მიზნით მოწვეულები იყვნენ სხვადასხვა სახის ანიმატორები.

სანაპიროზე მოეწყო ქვიშის მოედანი „ზაფხულის თამაშებისთვის“. გაიმართა ტურნირი ქვიშის ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50-მდე მოყვარულმა სპორტსმენმა. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით და ფულადი პრიზით. ასევე გამარჯვებული დააჯილდოვა ტურნირის სპონსორმა „არგომ“. ტურნირი ქვიშის ფეხბურთში და ქვიში რაგბში პანდემიიდან გამოწვეული რეგულაციების გამო ჩაიშალა.

მარტოწყალას ტბაზე ჩატარდა სხვადასხვა სახის სამუშაოები, რაც სპორტული თევზჭერის ტურისტულად განვითარებას უწყობს ხელს. მოიზვინა ტბის მიმდებარე ტერიტორია, მოხდა ტბის გათევზიანება. ნოემბერში მარტოწყალას ტბამ უმასპინძლა ფიდერის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატს. ჩვენი ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ქვეყანაში არსებულ მეთევზეთა კლუბებთან, ფედერაციებთან და აღნიშნული ადგილის განვითარებას 2022 წელსაც გეგმავს.

კუნძულის სანაპიროზე განთავსებულ კორტებზე დამონტაჟდა ჩოგბურთის ბადე, შეძენილ იქნა ჩოგბურთისთვის სათამაშო ინვენტარი, რომელსაც აქტიურად იყენებს მოყვარული სპორტსმენები.

